განკარგულების პროექტი

წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა,***

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.



წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2026-2029 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ 4
ისტორია 4
მდებარეობა 4
ფართობი 4
გეოგრაფია 4
მმართველობის ორგანოები 5
მოსახლეობა 6
ეკონომიკა 6
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა 7
საჯარო დაწესებულებები 7
ღირშესანიშნაობები 7
ბიუჯეტი 7
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 8
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2025 წლებში 8
შემოსულობები 8
გადასახდელები 9
ბიუჯეტის ბალანსი 10
2024-2025 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა 11
2024 წლის ბიუჯეტის შესრულება 11
2025 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა 11
თავი III. წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში 11
ინფრასტრუქტურის განვითარება 11
დასუფთავება და გარემოს დაცვა 12
განათლება 15
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 18
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 18
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ..... **Ошибка! Закладка не определена.**

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

წალკის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში. 1917 წლამდე ახლანდელი წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში, 1921 წლის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ ბორჩალოს მაზრაშია, 1930 წლიდან ხდება დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა თეთრი წყაროს რაიონში. 1965 წლიდან კვლავ გამოეყო ცალკე რაიონად. ამჟამად მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა

წალკის მუნიციპალიტეტი ჩრდილოეთიდან ისაზღვრება ბორჯომის მუნიციპალიტეტით, აგრეთვე გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებით. სამხრეთით ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით საზღვრავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, რამდენიმე კილომეტრით სცდება ქარელის მუნიციპალიტეტს.

ფართობი

წალკის მუნიციპალიტეტის ფართობია 1050,6 კმ²

გეოგრაფია

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. პირველი თანრიგის ოროგრაფიული ერთეულებია: სამსრის ქედი, ჯავახეთის ქედი და წალკის ქვაბული.

სამსრის ქედი (ზომები 40X23 კმ) ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში იჭრება. მერიდიანული მიმართულების ქედია, რომელიც აგებულია ნეოგენური და მეოთხეული ანდეზიტის, ანდეზიტ-დაციტის, ბაზალტისა და დოლერიტის ლავებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფებით. ნეოგენური გოდერძის წყება ქმნის ქედის ძირითად ჩონჩხს. მეოთხეული ლავებით კი აგებულია ვულკანური კონუსები, გუმბათები. ქედის მორფოლოგიაში შერწყმულია ტექტონიკური, ვულკანური, ეროზიული, ძველმყინვარული და პერიგლაციალური რელიეფის ფორმები. ქედზე ამართულია მწვერვალი სამსარი (3285 მ), რომელიც ვულკანურ კონუსს წარმოადგენს და ამ კონუსის შიგნით მდებარეობს 3 კმ სიგრძის კალდერა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოდის ასევე ჯავახეთის ვულკანური ქედის ჩრდილოეთ მონაკვეთი. აგებულია უმთავრესად ბაზალტური ან ანდეზიტ-ბაზალტური ლავებით, რომლებსაც ვრცელი ტექტონიკური ძალებით თაღისებურათ ამობურცული განფენები წარმოუქმნია. ქედის რელიეფი შედგება ტექტოგენურ-ვულკანური, ვულკანური და პერიგლაციური ფორმებისაგან. ჯავახეთის ქედზე ამართულია მწვერვალები: დალიდაღი (2661

მ), ბიქეთი (2277 მ), ჭიქიანი (2415 მ) და სხვ. დალიდაღსა და ჭიქიანს შორის მდებარეობს თიქმათაშის უღელტეხილი (2150 მ).

მსხვილი ოროგრაფიული ერთეულია აგრეთვე წალკის პლატო ქვაბული. ჩრდილოეთიდან შემოზღუდულია თრიალეთის ქედის შუა ნაწილით, დასავლეთით ესაზღვრება სამსრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილი, სამხრეთით საზღვრავს ჯავახეთის ქედი. წალკის პლატო აგებულია ნეოგენური დოლერიტული ლავებითა და ტბიურ-მდინარეული ნალექებით. წალკის პლატოს სიმაღლე ცვალებადობს 1500 მ-იდან 1900 მ-მდე. წალკის პლატო ქვაბული იყოფა პატარა ქვაბულებად (ბეშთაშენის, ქიარაკის, ბარმაქსიზის, ბაშკოვის) და მცირე სიგრძის სერებად (წალკის, ბეშთაშენის, ქარსუს, ტაშბაშის).

წალკის სერის ჩრდილოეთ ნაწილში განედური მიმართულებით გაჭიმულია თრიალეთის ძირა დახრილი ალუვიური ვაკე, რომლის ფორმებიც შეპირობებულია თრიალეთის ქედის შუა ნაწილიდან ჩამომავალი პატარა მდინარეების ვულკანური და ტექტონიკური შეგუბებით. თრიალეთის ძირა ვაკე აგებულია პლიოცენ-მეოთხეული რიყნალებითა და ქვიშებით. იგი დაყოფილია ორ ნაწილად: რეხის ქვაბულად და კაბურის ვაკედ.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ასევე ჭოჭიანის ლავური პლატო, რომელიც წალკის ქვაბულის სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილისაგან გამოყოფილია დაშბაშის სერით და ძირითადად ვრცელდება მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე. იგი მხოლოდ თავის ჩრდილო ნაწილში გადადის ხრამის მარცხენა სანაპიროზე. ჭოჭიანის პლატო აგებულია პლეისტოცენური ანდეზიტ-ბაზალტებით. გაკვეთილია ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის ჭოჭიანის კანიონისებრი ხეობებით. ხრამისა და ჭოჭიანის ხეობათა ჩაჭრის სიღრმე 300-500 მ-ს აღწევს. ხრამისა და ჭოჭიანის ხეობები თავისი უდაბლესი ფსკერისპირა ნაწილებით გრანიტულ მასივს სჭრიან, კრისტალურ საფუძველზე გადაფარებულია ანდეზიტ-ბაზალტური ლავის ქარაფებში ხელოვნურ და ნახევრად ხელოვნურ გამოქვაბულთა ჯგუფებია (მაგ. ეძანის გამოქვაბული), რომლებსაც წარსულში სამხედრო დანიშნულება ჰქონდათ. სოფელ დაშბაშის კიდეზე არის ღრმა ნაპრალები.

წალკის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება ასევე თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთა, რომელიც დანაწევრებულია მდინარეებით: ბეშთაშენით, გუმბათის და მათი შენაკადების ხეობებით. აღსანიშნავია ბეშთაშენის, ქიარაკის, ავრანლოს, აშყალის და ტაშბაშის ღრმა კანიონები.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 45 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 30 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა კომისია.

წალკის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები),

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 44 ტერიტორიულ ერთეულს: ერთი ქალაქი, სამი დაბა და 40 სოფელი

მოსახლეობა

წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 18,8 ათას ადამიანია მათ შორის ქალი 50,16% კაცი 49,84 %. ა. 0-18 წლამდე ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა 23,8 %. მუნიციპალიტეტში 44 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ერთი ქალაქი, სამი დაბა და 40 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წალკის მუნიციპალიტეტი 53-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორიცაა: დმანისი, ხარაგაული, ჩოხატაური და ქედა.



ეკონომიკა

ეკონომიკის ძირითადი სექტორები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლებს არის: სოფლის მეურნეობა (ძირითადად მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა), ელექტროენერგეტიკა, მცირე მეწარმეობა (ძირითადად ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება).

ამჟამად მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. სოფლის მეურნეობაში განვითარებულია მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: მარაბდა-კარწახის რკინიგზის მონაკვეთი; ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: კოდა–ფარცხისი–მანგლისი–წალკა–ნინოწმინდის მონაკვეთი, წალკა-თეთრიწყაროს-ფარცხის გზის მონაკვეთი და იმერა-ბარეთი-საბეჭისი- თეჯისი-ჩივთკილისა-თამალახარაბა-კაბური-ხაჩკოვი-გუმბათი-ავრანლოს მონაკვეთი

საჯარო დაწესებულებები

წალკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 32 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 2442 მოსწავლე;
- 11 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 430 ბავშვი;
- 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 451 აღსაზრდელი;
- 5 ბიბლიოთეკა;
- 1 სპორტული ცენტრი - სპორტის 10 სახეობას ეუფლება 406 ბავშვი;

ღირსშესანიშნაობები

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილია მათ შორის:

1. ავრანლოს ციხე, ავრანლოს ქვა ასომთავრული წარწერით
2. აიაზმი (ისტ. სოფელი - თეთრი წყარო, აიაზმის ღვთისმშობლის ეკლესია)
3. არჯევან - სარვანის ღვთისმშობლის ეკლესია, არჯევან - სარვანის წმ.გიორგის ეკლესია
4. ბეშთაშენის ძეგლები (წმ.გიორგის ეკლესია, მეგალითები)
5. ბურნაშეთის ეკლესია
6. გველფარეხას წმ.გიორგის ეკლესია
7. გუმბათის ციხე - გალავანი და ეკლესია
8. დაშბაშის ძეგლები (წმ.გიორგის გუმბათიანი ეკლესია)
9. ედიქილისას წმ.დემეტრეს ეკლესია, ედიქილისას სასახლე
10. თეჯისის ძეგლები (წმ.კონსტანტინეს ეკლესია, მენჰირი, მეგალითური გალავანი, ეკლესია)
11. კირიაკის წმ.გიორგის ეკლესია, კირიაკის ორმალიანი ხიდი
12. კუშჩის ეკლესია
13. წალკის ეკლესიები (ეპანის და X საუკუნის; წალკის წმ.დემეტრეს ბაზილიკური ეკლესია)
14. ოზნის (ჰუნიას) მეგალითური ციხე
15. ოლთისის (ნარდევანის) ციკლოპური ციხე
16. სანთის ციკლოპური ციხე
17. უწყლოს ციკლოპური ციხე
18. ჩოლიანის ეკლესიის ნანგრევები

ბიუჯეტი

წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შეადგენს 30.2815 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელია ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოების ნახევარს (21.687 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია ქონების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (6 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2025 წლებში

შემოსულობები

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2026-2029 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისიწნებულია 2013 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადი განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითდი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2026-2029 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხევდელობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება. შესაბამისად, როგორც 2026 წელს ისევე შემდგომ წლებშიც წალკის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული. გრანტების საპროგნოზო

მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომი წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

წალკის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2024 – 2029 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2024 ფაქტი	2025 გეგმა	2026 პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
შემოსულობები სულ	25,629.4	30,281.5	25,979.0	30,844.2	36,820.9	44,273.4
შემოსავლები	25,537.6	28,237.5	25,879.0	30,734.2	36,699.9	44,140.3
გადასახადები	13,015.7	21,000.0	24,862.0	29,615.5	35,469.4	42,786.7
საშემოსავლო გადასახადი	-	-				
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	15,000.0	18,662.0	23,415.5	29,269.4	36,586.7
ქონების გადასახადი	6,455.4	6,000.0	6,200.0	6,200.0	6,200.0	6,200.0
გრანტები	11,731.3	6,550.5	190.0	209.0	229.9	252.9
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები						
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	11,731.3	6,550.5	190.0	209.0	229.9	252.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-				
მიზნობრივი ტრანსფერი	433.2	778.4	190.0	209.0	229.9	252.9
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	11,298.1	5,772.1				
სხვა შემოსავლები	790.6	687.0	827.0	909.7	1,000.7	1,100.7
არაფინანსური აქტივების კლება	91.8	100.0	100.0	110.0	121.0	133.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	595.5	1,944.0	-			
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)	904.0					

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2026-2029 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. წალკის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

წალკის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2026 –2029 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2024 ფაქტი	2025 გეგმა	2026 პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
გადასახდელები სული	**23,120.0**	**30,281.5**	**25,979.0**	30,226.9	34,077.3	36,554.1
ინფრასტრუქტურის განვითარება	16,131.4	19,106.6	13,887.0	16,925.7	19,446.0	20,459.7
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,222.3	900.0	870.0	957.0	1,052.7	1,158.0
განათლება	1,197.0	2,348.4	2,300.0	2,530.0	2,783.0	3,061.3
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	464.6	1,660.0	1,935.0	2,128.5	2,341.4	2,575.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	1,400.4	1,490.0	1,639.0	1,802.9	1,983.2
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,104.6	4,866.0	5,497.0	6,046.7	6,651.4	7,316.5

ბიუჯეტის ბალანსი

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2026 –2029 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2024 ფაქტი	2025 გეგმა	2026 პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
I. შემოსავლები	25,537.6	28,237.5	25,879.0	30,734.2	36,699.9	44,140.3
გადასახადები	13,015.7	21,000.0	24,862.0	29,615.5	35,469.4	42,786.7
გრანტები	11,731.3	6,550.5	190.0	209.0	229.9	252.9
სხვა შემოსავლები	790.6	687.0	827.0	909.7	1,000.7	1,100.7
II. ხარჯები	9,538.6	12,187.3	13,594.0	7,992.3	8,568.8	9,674.5
შრომის ანაზღაურება	3,187.6	3,750.0	4,030.0	3,500.0	3,600.0	3,700.0
საქონელი და მომსახურება	1,764.4	2,311.9	2,270.0	3,379.4	3,812.9	4,743.2
პროცენტი	10.9	10.9	2.0	30.0	26.0	23.0
სუბსიდიები	3,931.5	4,970.4	5,740.0	353.8	364.4	415.3
სოციალური უზრუნველყოფა	524.7	1,000.0	1,200.0	516.8	542.6	558.9
სხვა ხარჯები	94.5	110.0	317.0	212.3	222.9	234.1
III. საოპერაციო სალდო	15,999.0	16,050.2	12,285.0	22,741.9	28,131.1	34,465.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15,039.0	17,938.2	12,257.0	14,738.7	16,212.6	17,833.8
ზრდა	15,130.8	18,038.2	12,357.0	14,628.7	16,091.6	17,700.7
კლება	91.8	100.0	100.0	110.0	121.0	133.1
V. მთლიანი სალდო	960.0	- 1,888.0	28.0	-	-	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	898.2	- 1,952.0	-	-	-	-
ზრდა	589.7	- 8.0	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	589.7	- 8.0	-			
კლება	- 308.5	1,944.0	-	-	-	-

ვალუტა და დეპოზიტები	- 308.5	1,944.0	-			
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 61.8	- 64.0	- 28.0	-	-	-
კლება	-	64.0	28.0	-	-	-
საშინაო	-	64.0	28.0	-	-	-
სესხები	-	64.0	28.0	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	56.0	-	-			
VIII. ბალანსი	-	0.0	-	-	-	-

2025-2026 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2024 წლის ბიუჯეტის შესრულება

2024 წელს წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 25629.4 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 13015.7 ათასი ლარი, გრანტებმა 11731.3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 790.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებამ 91.8 ათასი ლარი. 2023 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 1036.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან 11731.3 ათასი ლარიდან 10702.6 ათ.ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაფინანსებლად, კერძოდ დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები. ასევე დაფინანსდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება.

2025 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2025 წელს დაგეგმილია წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 28337.5 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 21000 ათასი ლარი, გრანტები 6550.5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 687 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 100 ათასი ლარი.

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 6550.5 ათასი ლარიდან დაფინანსდება გზების მშენებლობა, წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

თავი III. წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვთარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და

მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიბების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის პროექტი**
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**13,887.0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	**6,657.0**
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,580.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მშენებლობა, ექსპლუატაცია	1,750.0
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	830.0
02 03	გარე განათება	1,850.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	400.0
02 03 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	1,450.0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2,500.0
02 05	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	300.0

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		**6657.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის გზები, რომლებსაც წლების განმავლობაში არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ასევე არ მომხდარა მათი მიმდინარე შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, სანიაღვრე არხებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს მუნიციპალური დანიშნულების გზების მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა მოსახლეობის უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილება		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 6, SDG 9, SDG 11		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მშენებლობა, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		**1750.0**

	01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სოფლები რომლებშიც წლების განმავლობაში არ ჩატარებულა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ასევე არ მომხდარა მათი მიმდინარე შეკეთება. პროექტის ფარგლებში ხორციელდება სათავე-ნაგებობების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული სამუშაოები გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგებას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემის ექსპლუატაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		**830.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიბები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. შინაარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.		
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		**400.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. წალკაში, ასევე 43 დასახლებულ პუნქტში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		**1450.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება და ახლის მოწყობას. . ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია (მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულება) და ახალი ქსელის მოწყობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - ახალი გარე სანათების ქსელის მოწყობას ; - პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (450 ათასი ლარი).		
მოსალოდნელი შედეგი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 04		**2500.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები , რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 9, SDG 11		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	0205		**300.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი რასაც ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს წალკის მუნიციპალიტეტის ავტოსერვისი		
მოსალოდნელი შედეგი	ქ. წალკის და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში გადაადგილდება შეუფერხებლად		

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის პროექტი**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**870.0**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	770.0
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიება	100.0

პროგრამის დასახელება	კოდი	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		**770.0**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიბებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითდად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალლური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ წალკის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები 27 დასახლებული პუნქტი		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11		

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

(ათ. ლარი)

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2024 წლის პროექტი**
04 00	**განათლება**	**2,300.0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	800.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	-
04 04	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	-

პროგრამის დასახელება	კოდი	**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება**	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		**1500.0**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება სკოლამდელი აღზრდის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. წალკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 11 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 430-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 63 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება სასკოლოდ		
მოსალოდნელი შედეგი	წალკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები სააღმზრდელო დაწესებულებებში.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 4		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია,**	**დაფინანსება ათას ლარში**

	04 02	**მშენებლობა**	**800.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის განათლების ობიექტები, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა:		
მოსალოდნელი შედეგი	2026 წელს რეაბილიტირებული შენობით ისარგებლებს 30-მდე აღსაზრდელი		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 4		

პროგრამის დასახელება	კოდი	**ზოგადი განათლების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		**0**
პროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა). საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების განხორციელება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილი კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 4		

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		**0**
პროგრამის განმახორციელებელი	წალკის მუნიციპალიტეტი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება, შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება; მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა კვლევების, საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება გენდერული		

	თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება და ქალთა საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმილია ღონისძიებები
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 5

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის პროექტი**
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**1,935.0**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	965.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	720.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	245.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	770.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	730.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულების ხელშეწყობა	500.0
05 02 01 02	ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	230.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	40.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		**720.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის კომპლექსური სასპორტო სკოლა		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა სპორტული წრეები, ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული ღონისძიებები**	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		**245.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ წალკის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. პროგრამის მიზანია:სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტის განვითარება და წალკის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს სახელით მოასპარეზე, ა(ა)იპ „წალკის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში“ მოქმედ სპორტულ წრეებში ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში აღზრდილ და წალკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, წარმატებულ სპორტსმენთა, პარასპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენთა, პარასპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის დაწესებულების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		**500.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის სახლი,		

მიზანი	კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. პროგრამის მიზანია: კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ ძირითადად დაკმაყოფილდება ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ბიბლიოთეკის ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		**230.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების დონის ამაღლება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის ღონისძიებები**	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		**40.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს წალკის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		**200.0**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე X-XV -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის პროექტი**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1,490.0**
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	190.0
06 02	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1,300.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		**190.0**

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაციია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 1, SDG 3

პროგრამის დასახელება	კოდი	*ავადმყოფთა სოციალური დაცვა*	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		**1300.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიცპალიტეტი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემდეგი ბენეფიციარების: ა) დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი დახმარება; ბ) 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარება;		

	გ) ხანდაზმულ (90 და მეტი წლის ასაკი) პირთა დახმარება; დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულით 65000-დან 90000-მდე) დახმარება; ე) სტიქიური მოვლენების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ ან მძიმე საცხოვრებელ პირობებში დარჩენილი ოჯახებისადმი დახმარება; ვ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; ზ) მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური დახმარება; თ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება; ი) იძულებით გადაადგილებულ პირთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, მარტოხელა მოქალაქეთა და სოციალურად დაუცველთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების დაფინანსება; კ) ობოლ ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრებისათვის ფულადი დახმარება; ლ) თირკმლის ჩანაცვლების (დიალეზი) თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ფულადი დახმარება; მ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე (სარეიტინგო ქულით 100000-მდე) პირის მიერ საჯარო სკოლის წარჩინებით (ოქროს ან ვერცხლის მედლის კანდიდატი) დამთავრების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება; ნ) ძალადობის მსხვერპლთა, პენიტენციური დაწესებულებიდან ახლადგამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირთა და რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების დახმარება; ო) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარება (არასრულწლოვანი შვილის/შვილების ყოლის შემთხვევაში). პ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეების, არასრულწლოვანი ბავშვების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული ოჯახების გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (ოპერაცია) დაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდებიან ან არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით; ჟ) ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით. რ) კომპიუტერული ტომოგრაფია, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით; ს) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით; ტ) კორონაროგრაფია, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური დონის ამაღლება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 1